სახალხო გაზეთი

№ 708 ხუთშაბათი, 27 სექტემბერი 1912 წ. № 708

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ტელეფონი № 12-29

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

კანტორისაგან

1912 წ. პრემია „გრდემლის" მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით
მიიღება ხელის მოწერა
1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
1 ღვინობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 2 მ. და 25 კ.
თვეში ღირს — — 75 კაპ.
(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაში მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

დღეს, 27 ენკენისთვეს, წმიდა ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის პანაშვიდი განსვენებულ

თამარ ივანეს ასულის ჯანაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: მეუღლე **ვასილ ივანეს ძე ჯანაშვილი,** მისი ასული **ვარინკა,** ძმა **დიმიტრი,** დედა და ძმები განსვენებულისა: **მიხეილ, ალექსი, ნიკა** და **ილიკო ჭანტურიძეები** და **ალექსი ზაქარიას ძე უსეინოვი,** მეუღლითურთ. 696.

კ. ი. ზუბალაშვილების სახალხო სახლი
პარასკევს, 28 ენკენისთვეს,

ქ-ნი ავალიანი ქართ. სახ. წარ. მმართ. წრ. სცენის-მოყვარეთა დახმარებით გამართავს წარმოდგენას. წარმ. იქნება **ე. ნინოშვილის** რომანიდან პ. ირეთელის მიერ გადმოკეთებული 4 მოქ. დრამა „**ქრისტინე.**"

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: ს. ანკარა, ევგ. არაბიძე, მარ. გოგოლაშვილი, პიერეტა, გოდერძი, ა. კახელი, ბ. ტანელი, ელ. ციმაკურიძე; ბ-ნნი: გ. ანაშვილი, არშაკუნი, ბიაშვილი, ა. ივერელი, ალ. მეტრეველი, კ. მინდიევი, ა. ნარი, გ. სვანელი, რ. სალაყაია, გ. ფრონ სპირელი, ნ. ქანკვატაძე, მ. ჭიაურელი, კ. ხახანაშვილი, გ. ჯაბაური და სხვანი.

1499. **დასაწყ. საღ. 8 ს.** რეჟისორი **ალ. წუწუნავა.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძსენიძის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხლის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. **დბვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგიული ავ.	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½ **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.
საშოსნო ქალთ. სნეულ.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვ. ავადმყოფ.	**ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. სნეულ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დბვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
ყურ. ყელ. ცხვ.	**ბთენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. **თრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.
თვალ. ავ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. ვენ. ავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათიანი საფასურით. წ. 1010

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „**მეგობრობა**", დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

ქუთაისის ამომრჩეველთა საყურადღებოდ
28 სექტემბერს დანიშნულია ამომრჩეველთა არჩევანი

აირჩიეთ
გრიგოლ ივანეს ძე გველესიანი (იურისტი)
მოსე ათანასეს ძე ქიქოძე (ნაფიცი ვექილი)
დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი (ნაფიცი ვექილი). 1528

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

ხუთშაბათს, 27 სექტემბერს 1912 წ. ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზედ ახალი პიესა ცნობილ დრამატურგის **შირვან-ზადესი:**

ევგინე

დრამა 3 მოქ. თარგმ. კ. ყ—სა. მიჰრანის როლს შეასრულებს **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**
მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნნი გოგოლაშვილი, კარგარეთელი, მარგარიტა, ქიქოძე, ე. ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, აბდუშელი, გუნია, გედევანოვი, მესხი, მაჭარაძე, მგალობლიშვილი. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

თეატრის დირექცია დაბეჯითებით სთხოვს ბ. მაყურებელთ ფარდის ახდამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში აღარავის შეუშვებენ.

რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

ქართ. დრამატ. საზოგად. ადმინისტრაცია. 1524.

სასტუმრო „უნივერსალი"

(ძველად „მუხრანის ნომრები") **ტფილისში, გოლოვინის პროს.** სახელმწიფოს და კერძო დაწესებულებათა შუაგულში; ნომრები ახლადაა გადაკეთებული მშვენივრად; დიდად სახერხოა ცოლშვილიანებისათვის. ფაქიზი სისუფთავე, ზრდილობიანი და სხარტი მოსამსახურენი. როგორც კაცები ისე ქალები; ელექტრონული განათება, ცხელი და ცივი ვანები. გვაქვს ორ-ორი და სამ-სამი ოთახი, ფანჯრები და აივანებიც ქუჩის მხარეს აქვთ. ნომერი 40 კ.—5 მანეთამდე ღირს დღე-ღამეში, თვიურად 15 მან. 80 მანეთამდე. თვიურ მდგმურებს დიდ შეღავათს ვაძლევთ ქირაში. **ტელეფ.** № 499. 1481

შეიძლება დაკვეთა:
ილია ჭავჭავაძის თხზულებანი
ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან. **თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან. **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან. **ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან. **ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან. **ერევანში—ელენე ვირს ალაძესთან**
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან
ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. 153

გაფრთხილება

ამით ვაუწყებთ ბ.ბ. თამბაქოს მექარხნეებს, რომ როგორც ეტიკეტი ისე სახელები ჩვენის ქარხნის ნაწარმოების, როგორც მაგ.

პაპიროსი მ ა რ ს ი 20 ც. 5 კ.
თამბაქო სურნელოვანი გირვანქა 1 მ. 84 კ.

გამოცხადებული გვაქვს ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროში და დამტკიცებული
ამ წლის 26 ივნისს საქმის №№ 16957 და 16958.
ამის გამო მათი წაბაძულობით სიყალბის გაკეთება კანონით დაისჯება.
თამბაქოს ქარხანა
„ძმათა სეილანოვებისა" 1036.

ქ. გორში

ე. თარხან-მოურავის ქალთა სახელოსნო სკოლა

ამით აცხადებს,

რომ 20 მარიამობისთვიდან დაიწყო მიღება. 12 წლ. ნაკლები არ მიიღება. 12 წელზედ ზემოდ წლოვანობა განსაზღვრული არ არის. უპირატესობა ეძლევა წერა-კითხვის არ მცოდნეს. აქვე მიიღებიან მოწაფენი ბინითაც. დაწვრილებით პირობების გაგება წერილობით და პირადად. მისამართი: სამეფო ქუჩა, ერისთავის სახლში № 18. 1491.

გაზეთ **თემი**-ს რედაქცია და კანტორა
გადავიდა
ოლგას ქუჩაზე, სახლი დიასამიძისა, № 4.
1521

გამოსულია და იყიდება
ი. გედევანიშვილის პიესა
„გამცემი"
დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის პირდაპირ გაყიდვის მიზნით დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე:

ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს. 11½ ს.
მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 საათ.
ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,
კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.
უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½
რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.
ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.
ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 12½—1½ს.
იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.
ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.
ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.
შამაში, ქირურგ. ავადმყ. ყ დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს
საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. 366.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,
ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11 12 ს.
ბ. ა. ქ—ჰოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდ ყელ, ყურ და ცხვ. სნეულ. 11 11½.
შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606"-ით. 1018

დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს.
გ. გ. მეზრაბიანცი

შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. წამლობს ტუბერკულინით, რადიუმისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განთოვის ქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 1497

კბილის ექიმი
მამულაიშვილი-ხოლნევისა

წამლობა, პლომბის გაკეთება ფაიფურით და ოქროთი. კბილის ამოღება უტკივილოდ ოქროს „კორონკები" და „ვსტავკები" (ახალი სისტემის პლომბი, რომელიც არ იშლება და არ ვარდება). ბრუნდი კბილების გასწორება. მიღება დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ოლგას ქუჩა № 20, ბინა—5. 1504

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

ექიმი პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. ს ღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი ქალი **დ. გ. საყვარელიძე.** იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. ჯაბაშვილისა.

ექიმ ი. ე. ჯაშის კაბინეთი ამბულატორიით. მიიღებს შინაგ., დედ. და სადოსტაქრ. ავადმყ. დილ. 8—11 ს. და ს ღ. 5—8 ს. დიდვანქის ქ., № 6. წინანდელი სადეპეშო კანტორა. 1480.

ექიმი ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1178

ექიმი ს. ი. გძელიშვილი შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

ქართული პრესა

ქუთაისში გამოვიდა ახალი გაზეთი „იმერეთი", რომელშიაც რამდენიმე წერილია დაბეჭდილი — თავ. ვლ. მიქელაძეს უკანასკნელ უკადრის საქციელების შესახებ. „იმერეთი", სხვათა შორის, „ზაკავკ. რეჩ"-ის ორჭოფულ პოზიციასაც ეხება და სწერს:

„არა მგონია „ზაკავკ. რეჩ"-მა ორჭოფობას თავი დაახწიოს. საკვირველია, რომ ამ გაზეთის სახე დღემდე გამოურკვეველი დარჩა. პირველად დიდი ამბით აღნიშნა, ქუთაისის საუკეთესო პროგრესისტებმა (!) სადეპუტატო კანდიდატად ვლადიმერ მიქელაძე აირჩიესო. თუმცა, როდესაც შეეკითხნენ, გვითხარი, ვინ იყვნენ ეს პროგრესისტებიო, პირში წყალი ჩაიგუბა და ენა დაიდუმა. შემდეგ „სახალხო გაზეთისა" და „კოლხიდის" წინააღმდეგ ამხედრდა, ვლადიმერს რატომ ჰკიცხავთო. ცხადი შეიქმნა, რომ ამ გაზეთის სიმპატია ვლადიმერისკენ იყო, მაგრამ მაინც ვერ გაბედა და გადაწყვეტით მხარი ვერ დაუჭირა".

„იმერეთი" აღნიშნავს, რომ სიმართლის პირში თქმა ლანძღვა კი არა, პრესის პირდაპირი დანიშნულებაა, და დასასრულ „აბისელი"-ს წერილების გამო ამბობს:

„ბ-ნი აბისელი მემარცხნეებს ჰკიცხავს, უტოპიასა ჰგმობს და ვითომ რეალურ პოლიტიკას აღიარებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ გაგვაგებინა, მისი ზომიერი პოლიტიკის საზღვარი სად არის. დღემდის არ ვიცით, ვინ არიან „აბისელი“ და მისი ამხანაგები? კადეტები, უპარტიონი, ავტონომისტები, ოქტომბრისტები თუ მემარჯვენენი?

თავის დღეში ვერ გაგებთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „ზაკავკ. რეჩ“-ის მწერლებმა თითონაც არ იციან, რანი არიან.

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი** დღეს, 27 სექტემბერს, დილის 10 საათსა 33 წ. ტფილისიდან პეტერბურგს მიემგზავრება.

✦ **წესიერ დასვენების** ახალ დადგენილებათა გადასათვალიერებლად დღეს კრება ექნება ქალაქის საბჭოს მიერ საგანგებოდ არჩეულ კომისიას.

✦ სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორის გამგე ბ-ნი ბეზობრაზოვი დაბრუნდა.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს** კრება დანიშნულია დღეისთვის, რადგანაც მომავალ ორშაბათს უქმეა. საბჭო განაგრძობს სარევიზიო კომისიის ინსტრუქციის პროექტის მუხლ-მუხლად განხილვას.

✦ შაბათს, 29 სექტემბერს, ქალაქის გამგეობის სადგომში კრება ექმნება საგანგებო კომისიას, რომელმაც ზომები უნდა შეიმუშაოს ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

✦ **სომხურ გამომცემელ საზოგადოების** წევრთა საერთო კრება 23 სექტემბერს მოხდა. კრებამ მოისმინა საზოგადოების წევრის მღვდლის ალანიანის მოხსენება. ალანიანს მოუვლია ჩრდილოეთ კავკასია, ორასი თუმანი მოუგროვებია საზოგადოების სასარგებლოდ და საზოგადოების განყოფილებანი გაუხსნია პიატიგორსკსა, ეკატერინოდარსა და არმავირში. დასასრულ სარედაქციო კომისიის წევრთა დამატებითი არჩევნები მოხდა. აირჩიეს არშაკ ღაზარიანი და ისაკ არუთინიანი.

სოფლად

✦ **სამტრედია.** 30 სექტემბერს დანიშნულია წ. კ. სამტრედიის განყოფილების წევრთა **არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება.** განსახილველია შემდეგი კითხვები: არჩევა ახალი თავმჯდომარისა, გამგეობის ორი წევრისა და ახალ წევრთა მიღება.

არჩევნები ჩვენში

გუშინ, 26 სექტემბერს, სახალხო სახლში, ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით დაიწყო რუსულ კურიის ამომრჩეველთა კრება, რომელმაც სათათბიროს დეპუტატის ამომრჩევლები აირჩია. არჩევნების შედეგი დღეს გამოირკვევა.

ლეჩხუმი.

15 ენკენისთვეს მოხდა წვრილ მემამულეების არჩევანი. არჩევნებს სულ 19 კაცი დაესწრო. ყუთი დაიდგა ხუთმა და ხუთივემ 19 თეთრი მიიღო: თავ. ვარლამ ლ. გელოვანი, თ-დი ნიკოლოზ ვლ. ჩიქოვანი, თ-დი ალექსი ვახტ. გელოვანი, ტარასი გრ. ახვლედიანი და ნიკოლოზ მეთ. ჩარკვიანი. სამაზრო ამომრჩევლებად ასახელებენ ვარლამ ლევანის ძე გელოვანს და თ-დ ოთარ თენ. დადეშქელიანს.

ქუთაისი.

24 ენკენისთვეს ხელმეორე არჩევნებზე ქუთაისის, ხონის, სამტრედიისა და ტყიბულის საბოქაულო სწვრილ მემამულეთა მიერ არჩეულ იქმნენ: თ-დი ქაიხოსრო ლორთქიფანიძე, ანდრია ნიჟარაძე, გ. იოსელიანი, ვახტანგ მიქელაძე, მანუჩარ მიქელაძე და ღლიაშვილი.

როგორც „იმერეთი“ გადმოგვცემს, არჩევნებს ბევრი გარეშე და პოლიციაც დასწრებია.

ლანჩხუთი.

19 ენკენისთვეს მოხდა წვრილ მემამულეთა არჩევანი. სულ აურჩევიათ 14 კაცი. ამათგან ორი კიტა აბაშიძეს მომხრეა, ოთხი—დასელი, დანარჩენი—გამოურკვეველ მიმართულებისა.

კოოპერაცია „პროგრესი“ ქ. ქუთაისში.

კოოპერაცია ჩვენში ჯერ კიდევ ნორჩი ძალაა. ამხანაგობების და ძველ სისტემის „დუქნების“ იმედის გაცრუება ფრიად ხელის შემშლელია დღევანდელ კოოპერატიულ მოძრაობის განვითარებისათვის. წარსული ცუდია, აწმყოზე უიმედო შეხედულებაა დამკვიდრებული საზოგადოებაში, ცხადია წარსულის ალღოს ართმევა და აწმყოზე იმედიანობის დამყარება ძნელი საქმეა, მაგრამ ამ საქმეს მხოლოდ პრაქტიკული ცდა და ნაცადის გამარჯვება შეასრულებს ხოლმე. ამიტომ კოოპერატიულ მოძრაობის განვითარებისათვის მეტის-მეტად საჭიროა ხალხმა დაინახოს თვით პრაქტიკულ ცხოვრებაში კოოპერატივის ძალა, მისი ნამდვილი შინაარსი და საფუძველნი, რომლის დაცვით არავითარი საფრთხე არ ელის საზოგადო საქმის წინსვლასა და დაწინაურებას.

ათას თეორიას ერთი სინამდვილე სჯობნის ამ შემთხვევაში, ჩვენ ეს ღრმად გვრწამდა და ამიტომ იყო ახლად გახსნილ კოოპერატივს **„პროგრესი“**-ს ნახვას ძლიერ ვნატრობდით. მართალია ძლიერ ცოტა დრო გვქონდა ქუთაისში, ამავე დროს იქაური ატმოსფერა ერთიანარ არჩევნებით იყო გაჟღენთილი, მაგრამ „იმერეთი“-ს კანტორიდან „კოოპერაციის“ რედაქტორთან ერთად გავეშურეთ „პროგრესისაკენ“. კოოპერატივი „პროგრესი“ საუკეთესო ადგილას არის მოთავსებული, თეატრის გვერდში და სასეირნო ბაღის ახლოს. საუცხოოდ შედგენილი „ვივესკა“ სათანადო ქართულ-რუსულ-ფრანგულ წარწერებით გარედანვე სასიამოვნო თშაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე. თვით კოოპერატივის მაღაზია — მწყობრად მოწყობილი სხვა და სხვა **სახმარებელ ნივთებით** მდიდრულად გამოიყურება. ახალ მოდის ფანჯრები, პლაკატებით, სურათებით და საკოოპერაციო მოწოდებებით გამშვენებული კედლებით მყისვე გაგრძნობინებსთ, რომ კოოპერაციაში არავითარი ალაგი არ აქვს დათმობილი წვრილ ჩარჩულ ალტყინებას, რომ ყველაფერში გამოსჭვივის და მოსჩანს საზოგადოებრივი სულის კვეთება.

თვით ვაჭრობა სწარმოებს ნაღდ ფულზედ, ფულები ხურდავდება მარკებზე და მარკებით იძენენ ყოველ საჭირო ნივთს. კოოპერატივის წევრს ურჩება აგრეთვე სადივიდენდო მარკა, რომელიც ერთნაირ სარგებელს მისცემს მომხმარებელ-მყიდველს განსაზღვრულ ხანის განმავლობაში. კოოპერატივის ყოველი შემოსავალ-გასავალი იწერება საამისოდ შედგენილ და წარმოებულ წიგნებში. ანგარიში მიმდინარეობს ამერიკულს სისტემაზე და ყოველდღიურად ცხადჰყოფენ კასის ვითარებას. კასას ერთ საგანგებოდ არჩეულ პირს აბარებენ ყოველი დღიურის ბოლოს, ასე რომ ყოველგვარი ბოროტმოქმედებისათვის ალაგი აღარ არის. სამარკო სისტემა კი კასის ნამდვილი ბარომეტრია, ის ყოველ წუთს ააშკარავებს კასის ნამდვილ მდგომარეობას.

მხოლოდ ქუთაისის კოოპერატივმა დაიწყო რაციონალურ სისტემით მუშაობა და მყისვე დავრწმუნდით, რომ კოოპერაცია საჭიროებს პრაქტიკულ მოღვაწეებს, საკოოპერაციო ანგარიშის და წესების მცოდნეებს. შეუძლებელია მოუმზადებლად და ქართველურად-ძველებურად საქმე გაიჩარხოს. ამ მხრივ კოოპერაციას დიდს სარგებელს მოუტანს და დაეხმარება ის კურსები კოოპერაციისა, რომელიც ქუთაისის მეორე სამოქალაქო სკოლასთან უნდა გაიხსნას.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ბ. რუდოლფმა უკვე წინადადება მისცა ბ. ი. გაბილაიას ამ კურსებისათვის საგანგებო მოხსენება და კურსების დაწვრილებითი პროგრამა შეემუშავებინა, აღენიშნა სამეცადინო საგნები და ის სპეციალისტ-მასწავლებელნი, რომელთაც მუშაობა შეუძლიანთ საკოოპერაციო კურსებზე.

ბ. ი. გაბილაიამ ოლქის მზრუნველს უკვე წარუდგინა მოხსენება და კურსის პროგრამა. დიდი იმედია, რომ კურსები მალე გაიხსნება, მოსალოდნელია აგრეთვე სახაზინო სუბსიდიაც;

თევდ. ღლონტი.

ფილოქსერა თელავში

რასაკვირველია ფილოქსერა, არავითარი შესადარი არ არის ადამიანის რაიმე ეპიდემიურ სატკივრის გაენასთან, მაგრამ ამ წერილს ისევე ვწერ, თითქოს ამ ორ შორის განსხვავება არ იყოს. ალბად ეს კახელ გლეხთა ბაასის ზედგავლენით მოსდის, რომელთანაც ლაპარაკი რომ მქონია საავადმყოფოს ან სკოლის გახსნის შესახებ, უპასუხნიათ, სიმშილით სიკვდილს ისევ სატკივრისაგან უექიმობა მირჩევნიაო. მას უმთავრესად სიმშილ-სიტიტვლისა ეშინიან, ვინაიდან თუ ამისაგან უზრუნველ ყოფილი იქნება, ავადმყოფობის და სხვა სატკივრის გამკლავება ისე აღარ გაუძნელდება. ვაი ეს არის, რომ მის ცხოვრების უმთავრეს წყაროს საფრთხე მოელის ფილოქსერის გაჩენით, რომელიც ვენახების ხელიდამ გამოცლას უქადის და ეს კი სიმშილის მოახლოვება იქნება მისი ოჯახისათვის.

ფილოქსერა, ეს საშინელი ვაზის მტერი კახეთის შუაგულში—**თელავში აღმოჩნდა.**

17 სექტემბერს საფილოქსერო პარტია უფროს ინსტრუქტორ ნ. მაკარაშვილის ხელმძღვანელობით თელავში ვენახებს ჰსინჯავდა მაწანწარაძე, ახპატელოვის ვენახში, ფილოქსერა აღმოაჩინა, რომელიც თურმე დიდი ხნისა ყოფილა, ასე 8 წლის წინედ გაჩენილა და მისი არსებობა კი არავინ იცოდა. ბ. მაკარაშვილმა მაშინვე დეპეშით აცნობა ვისაც ჯერ არს, მიიწვია ადიგლობრივი ადმინისტრაცია და მიიღო საჭირო ღონისძებანი.

ფილოქსერა ამ რამდენიმე წლის წინედ კახეთში პირველად გაჩნდა კაბალზე (სიღნაღის მაზრა) ლელიანის საზოგადოებაში, სადაც იმერეთიდან ახლად გადმოსახლდნენ. ფილოქსერასთან მებრძოლმა კომიტეტმა ფიცხელი ყურადღება მიაქცია, როგორც დაავადებულ ვენახების გადაწვით ისე მით, რომ სხვაგან არ გადასულიყო, ამასთან ამ რაიონში ე. ი. ქვემო მხარეს უფრო ბეჯითად მუშაობდნენ და მეტ ყურადღებასაც აქცევდნენ, ვიდრე ზემო მხარეს, სადაც ფილოქსერას სრულებით არ მოელოდნენ და ის კი არა თუ აქეთ უფრო დიდი ხნის სტუმარი ყოფილა.

ამნაირად შიგნით კახეთს ამ ვაზის სამშობლო მხარეს აქამდე თუ ფილოქსერა ირგვლივ ჰქონდა შემორტყმული (გარეთ კახეთში და კაბალზე) ეხლა მის შუაგულ თელავშიაც იჩინა თავი.

რასაკვირველია თვით ფილოქსერა ისეთ საშიშს არას წარმოადგენს, კახეთი რომ მომზადებული იყოს, მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ამერიკული ვაზი იშვიათია თელავში, თუ აქვს ვისმე ორიოდ მსხვილ მემამულეს, ისიც ვენახის ერთი ნაწილი, მხოლოდ გლეხის ვენახი მას ჯერ არ უნახავს. ამასთან მის თავიდან მოშორებაში მორიდებას და გაფრთხილებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არც ამას დაგიდევთ ჩვენი კახელი გლეხი.

ამნაირად კახეთი სრულებით მოუმზადებელი შეხვდა ფილოქსერას, მხოლოდ მცხოვრებთ ნაკლები წარმოდგენა აქვთ ვაზის ამ უსაშინლეს მტერზე და უცოდინარობის გამო ვერც გაუფრთხილდებიან, როგორც წესია.

ამისათვის საჭიროა ეხლავე სათანადო მთავრობის დახმარება, საჭიროა მევენახეობის და მეღვინეობის კომიტეტმა გააორკეცოს მუშაობა, საჭიროა კახეთში ასეთ კომიტეტის დაარსების დაჩქარება, როგორც ეს უკვე განზრახულია, საჭიროა ინსტრუქტორების გამრავლება. სასურველია ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამაც გაუწიოს ამ მოვლენას ანგარიში და ყურადღება მიაქციოს შიგნით კახეთს.

დავიწყებული.

„ხელოსანთა წვრილ კრედიტის ამხანაგობა“

სიღნაღში.

ერთი წელიწადი სრულდება, რაც სიღნაღში დაარსდა, ხელოსანთა წვრილ კრედიტის ამხანაგობა. როგორც სახელწოდებიდანაც სჩანს, „წვრილი კრედიტის ამხანაგობა“ უნდა ემსახურებოდეს უმთავრესად ხელოსანთა ინტერესებს, და იგინი დაიხსნას გაჭირვებულ მდგომარეობიდან, რომ ველარ შესძლონ ჩარჩმოვაჭრეებმა მათი გაფცქვნა-გატყავება. ამხანაგობის წევრი იხდის ყოველ თვე ერთ მანეთს. ამნაირად, ყოველმა წევრმა უნდა შეასრულოს 25 მანეთი, რომელიც დარჩება ძირითად თანხად. დაარსებისას კი, როგორც კანონით ყველგან არის, ამათაც მიიღეს სახელმწიფო ბანკიდან სესხად 3000 მანეთი, რომლის ნაწილი უკვე გადაიხადეს. ერთი წლის შემდეგ კი თავიანთი საკუთარი თანხა ექნებათ. იმის მტკიცება მეტია, რომ ჩვენს გაჭირვების დროში, ხელოსანთათვის „წვრილი კრედიტის ამხანაგობა“ ძალიან კარგი დაწესებულებაა. მაგრამ ვიკითხოთ, ნამდვილად ემსახურება თავის პირდაპირ დანიშნულებას, ეს „ხელოსანთა ამხანაგობა“ თუ არა? მართლა სარგებლობენ გაჭირვებული ხელოსნები ამ დაწესებულებით თუ არა? ამხანაგობაში სამი წილი ვაჭრები არიან წევრებად და ერთი წილი კი ხელოსნები. ვერ გაგვიგია რითი ხელმძღვანელობდა ამხანაგობის გამგეობა, როდესაც ამათ წევრებად იღებდა ამხანაგობის წესდების წინააღმდეგ, რომელთაც ჩემის აზრით აქ ალაგი არა აქვთ! წარმოიდგინეთ, აქ ყველა ჯურის ვაჭრები არიან. მეწვრილმანე, ბაზაზი, აფთექარი, მსხვილი მევენახე, მიკიტანი, მოვაჭრე, მაღაზიის პატრონები და სხვა. დასამტკიცებლად შეგვეძლო მათი გვარებიც მოგვეყვანა, მაგრამ რა საჭიროა, ეს ყველამ კარგად იცის. საქმე იმაშია რომ, ეს ვაჭრები უფრო სარგებლობენ ამ ამხანაგობით, ვიდრე ხელოსნები. თუ ხელოსანთათვის არის დაარსებული ეს ამხანაგობა, ამათთვის იყოს, თუ არა და ხელოსნებისას მაინც ნულარ ეძახიან“... ამ ამხანაგობას აქნობამდე წესდებაც კი არ დაუბეჭვდინებია, და ყველა ეს კი გამგეობის ბრალია. ჩვენის აზრით ხელოსნებმა უნდა მოსთხოვონ გამგეობას რომ დაუყოვნებლივ დაბეჭდვინონ წესდება და დაურიგონ, რათა წლიურ საზოგადო კრებაზე წარსდგნენ უფრო მომზადებულნი და საგნის მცოდნენი. გარდა ამისა გამგეობა უნდა ემსახუროს წესდების თანახმად უპირველესად ხელოსნებს და არა სხვებს.

ამხანაგობის წევრი.

ჯავახეთის ავ-კარგი

ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან, ყველა დაბა-სოფლებიდან იწერება წერილები მათს ჭირ-ვარამზე. ხოლო ერთად-ერთი კუთხე ჯავახეთია მივიწყებული. ეს კუთხე ღვთისანაბარად არის მიტოვებული. ზაფხულობით ქართული დასი ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა დაბა-სოფლებში ჰმართავს წარმოდგენებს, და ჯავახეთი კი ამას მოკლებულია. არც სადმე სამკითხველო მოგვეპოვება.

წელს აქეთ კარგი მოსავალი იყო პურისა, ნამეტნავად ქერისა—კალოობა ჯერ არ გათავებულა. ორი-სამი წლის მოუსავლობამ ძალიან დაჯაბნა და წელში გასტეხა ბუნებისაგან ისედაც დასჯილი ჯავახი. აქაური მცხოვრების ბედ-იღბალი მხოლოდ ერთ ქინახულზეა დამოკიდებული. მიწები აქ სახაზინოა და ურწყავი. უმთავრესი ხელის შემშლელი აქაური გლეხისა უწყლობაა. ზოგ მინდვრად წყალი არ მოიძებნება, შიგა და შიგ არის ტბები, მაგრამ შუა ზაფხულში ისინიც შრებიან. მთელი იმედი ხალხისა თუ საქონლისა დამყარებულია წყაროზე, რომელიც ყველა სოფელს მოეპოვება.

ხვნა-თესვის გარდა აქ გულ-მოდგინედ მისდევენ საქონლის მოშენებას, მეცხვარეობას, მეფუტკრეობას, მაგრამ უმთავრესს დარგს მეურნეობისას, შეადგენს ხვნა-თესვა.

წელს ცხვარ-ძროხაც მშვენივრად არის შენახული, რადგანაც იალაღებზე მშვენიერი ბალახი საკმაოდ იყო. ჯავახეთის თითქმის ყველა სოფლებში სკოლაა. შენობები საუკეთესო და საკმაოდ ფართო. სოფ. ბარალეთში არსებობს ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი. შენობა უნაკლულოა ყოველის მხრივ და ჩინებულადაც არის მოწყობილი. სოფ. ბარალეთი მდებარეობს ქ. ახალქალაქიდან 18 ვერსის სიშორეზე და მშვენიერი მდებარეობაც აქვს. მოსახლეობენ სომხები და ქართველები. შუაში ჩამოუდის მშვენიერი ანკარა წყალი, რომელშიაც გემრიელი თევზი ბუდობს. მცხოვრებნი, მისდევენ ხვნა-თესვას, საქონლის მოშენებას და შეშის სყიდვა გამოზიდვას. ხე-ტყისას სხვა და სხვა სამეურნეო იარაღებს აკეთებენ და ჰყიდიან. ამ სოფელშივე არსებობს ქსენონი აფთიაქი, არის ექიმი ბებია ქალი და სამმართველო. სხვა სოფლებიც არ ჩამორჩენილან მოძმეთ და მათაც გაუმართავთ სკოლები. სოფ. ქილდაშიც არსებობს ერთ კლასიანი სასწავლებელი. სკოლის შენობა მართლაც რომ შესანიშნავია: ქვითკირის უზარმაზარი შენობა ფართო ოთახებით და ყოველნაირ მოწყობილობით. ეს სოფელი მდებარეობს ქ. ახალქალაქიდან დასავლეთით 12 ვერსტ. სიშორეზე, ძველი ხერთვისის მახლობლად. იგი გაშენებულია მაღლობზე. ქვევით სამი ვერსის მანძილზე მიიკლაკნება მტკვარი. ამ სოფლიდან რომ გადაიხედავთ, თვალ-წარმტაცი სურათი გადაგეშლებათ: მტკვარი ბაღ-ბოსტნიან ნაპირებით, მახლობლად შესანიშნავი და ისტორიაში ხსენებული: წუნდა-ნაქალაქევი, რომელნიც ჩვენი მეფეების საავარაკოდ ითვლებოდნენ. ცოტა მოშორებით მტკვრის გაღმა სოფ. თმოგი.

წუნდა ნაქალაქევიდან იწყობა მშვენიერი შარა გზა, რომელიც მტკვრის პირას მიიკლაკნება. ეს გზა დიდებულ „ვარძიის“ მონასტერში ადის. წუნდა ნაქალაქევში ამ ჟამად მოსახლეობენ ქურთები. დღევანდლამდე მთლიანად არის დაცული.

სოფელ-ქილდელი მცხოვრებნი საშუალო ცხოვრებას ეწევიან. ამ სოფლისათვის მეტად საჭიროა წვრილ საკრედიტო ბანკის დაარსება, თორემ დღეს მათი სარჩო-საბადებელი ჩარჩმოვაჭრეებს ხელთ ჩაუგდიათ. თვით სოფლელნიც სიამოვნებით მიეგებებიან ამ დაწესებულებას—მაგრამ მოთავე და დამრიგებელი არა ჰყავთ. აქ გაზეთს ვერსად შეხვდებით, მასწავლებლებსაც კი არ მოსდით გაზეთები...

ქსნისპირელი.

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

(შემდეგი *)

წერილი მეჩვიდმეტე.

ლაილაშში შესვლა.

ნაშუადღევის სამის ნახევარზე მივედით ლაილაშში; დუქნები და მაღაზიები დაკეტილი იყო, სახლები მორთული იყო ყვავილებით და ფარნებით; ლაილაშის ბაზრის ქუჩა, ერთი ვერსის სიგრძეზე ორივე მხრით გაჭედილი იყო ჩამწკრივებულ ხალხით; აქ ნახავდით დიდს და პატარას, მოხუცს და ახალგაზრდას, ქალს და კაცს განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა; ყველა სადღესასწაულო ტანისამოსებით იყო მორთული და აუწერელ აღტაცებას წაიკითხავდით მათ სახეზე. გახდა თოფ-დამბაჩების გრიალი, „ვაშას“ და „აკაკის გაუმარჯოს“ ყვირილი, ტაშის ცემა, ვარდ-ყვავილების გზაზედ მოფენა და მხიარულება. მგოსნის ეტლს წინ მიუძღოდნენ მოსწავლე ქალები და ვაჟები ყვავილების ფენითა და სიმღერით; გარშემო—ზღვა ხალხი და მათ უკან ცხენოსნები; მგოსნის ეტლს გარშემო ერტყა საპატიო დარაჯები განსხვავებულ ფორმით მორთულნი. მისავალში მორთულ კამარაზე წავიკითხეთ შემდეგი წარწერა: „მშვიდობა შენს მობრძანებას“. აქ მოართვეს მგოსანს მანდილოსნებმა აბრეშუმისაგან შეკერილი გული, მორთული პურის თავთავის გვირგვინებით, ზედ იყო შემდეგი წარწერა: „დედათ აღმზრდელ აკაკის მის მიერ აღზრდილ დედებისაგან. ლაილაში ჩშიბ წ. ლა ივლისი“.

ორ-კლასიან ნორმალური სასწავლებლის მახლობლად გაშლილ მოედანზე მორთული იყო ფანჩატური, სადაც მიიყვანეს მგოსანი და ჩასვეს ცოცხალი ყვავილებით შემკულ სავარძელში. პირველად მიმართა მგოსანს თავ. ლევან დადეშქელიანმა შემდეგი სიტყვით:

„დიდო მგოსანო, ძვირფასო მოხუცო, საყვარელო აკაკი! მაშინ, როდესაც დიდი ნიჭის, უკვდავის პოეზიის და საერო ჭირ-ვარამის მოგანგაშის სალაროსთვის ცრუ სოფლის კაცთა მტერს თავისი თვალსაჩინო ტვიფრი დაუსვამს და მაშინ, როდესაც შენის ქვეყნის ერთ მივარდნილ კუთხეს—ლეჩხუმს ჩაგვრის და მწარე სიბნელის ჯანღ-ბურუსი გადაჰკვრია,—აი ამ დროს მოინახულე ლეჩხუმი. ამ სადღესასწაულო და ლეჩხუმის ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვანს მოვლენას რომ შენსაებრ გულის ფეთქის სიღრმეში შთამხედავმა მხატვარმა გონების მახვილი თვალი გადაავლოს და ხალხის დღევანდელს აღტაცებას, სიხარულსა და თანაც მწარე განვლილს შენი ჩანგის ჟღერა, შენი ნამდვილი სურათი დაუპირდაპიროს, შიგ სრულს მთლიანობას დაინახავს: შენი ერი და შენ! შენ და შენი ერი. აი უტყუარი სურათი, რომელიც შენმა უკვდავმა ჩანგის კვნესამ თითოეულ ქართველის გულში მწარედ აღბეჭდა. შენ ხარ დიდი მგოსანი, ხარ ბუკი, დაფი და ნაღარა გამამხნევებელი, გამღვიძებელი და თავისი შემანარჩუნებელი საუკუნო მსვლელობით დაქანცულ ერისა, რომლის საეროვნო დროშასაც დიდი ხანია ფლეთდნენ და სწიწკნიდნენ, ვითარცა გემრიელ ლუკმას, სხვა და სხვა დროის მძლავრი სახელმწიფოთა შავნი ყვავ-ყორანნი... მაგრამ გული და შინაარსი ამ საეროვნო დროშისა შენს ერს მრავალტანჯული გულმკერდით, აჰა მგოსანო, დღემდე მოუტანია! და დღეს ამ შინაარსიან ნაფლეთებზე, თანამედროვე ცხოვრების აუცილებლობის ზეგავლენით ვითარდება შენი ერი და [illegible] სხვა და სხვა კლასები, სხვა და სხვა ჯგუფები და [illegible] საკეთილდღეოდ, გიხაროდეს, დიდო მგოსანო, რომ შენი წინასწარმეტყველება „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავსო“ განხორციელებას ეწია და თამამად შეგვიძლიან სთქვათ „გაიღვიძ!“ შენით ამაყი ლეჩხუმი განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და მიმართულებისა მუხლმოყრილი თაყვანს გცემს და გეუბნება:

„გაუმარჯოს აკაკის!“

თავ. დადეშქელიანის შემდეგ მიმართა მგოსანს მღვდელმა **დავ. ლეშკაშელმა** შემდეგი სიტყვით: „დიდებულო მგოსანო, აკაკი! გამოცდილია, როდესაც მარჯვე ბეჯითი მიწის მუშაკი თავის საყვარელს ყანაში შრომობს, იგი სრულიადაც არ შეუშინდება არც გულის შემაწუხებელ პაპანაქებას, არც წვიმა ქუხილ-ელვას და გულდადებით განაგრძობს დილიდან საღამომდე ოფლით შრომასა. შემდეგ დაასრულებს რა მიწაში თესლის მიბარებასა, დრო დროთი მოინახულეს ნაჭირნახულებს და, ოდეს ნახავს ნაშრომს აღორძინებულს, უხარის და ავიწყდება ის უსიამოვნება, რომელიც განიცადა მუშაობის დროს. მსგავსადვე მისა, თქვენ, დიდებულო მგოსანო, უმეტეს ნახევარ საუკუნისა მოღვაწეობთ თქვენ საყვარელ სამშობლო საქართველოში. თქვენი მოღვაწეობის ასპარეზს სარჩულად აქვს მტკიცე რწმენა ქრისტე მაცხოვრის მცნებისა და ამ მცნებაზე დაფუძნებით განსწმინდე, გაამსუბუქე, აღაფრთოვანე ქართველი ერი, დააყენე წინსვლის გზაზე და თქვენ, ვითარცა ნათელი სვეტი წინ უძღვით და თუმცა ამ მსვლელობის დროს მრავალი გულის დამთუთქავი უსიამოვნება მომართულა თქვენდამი, გარნა თქვენ, როგორც ბეჯითი მუშაკი ერთ წამსაც არ გადაგიხვევია თქვენის წმინდა დანიშნულებისათვის. საქმის ბეჯითობა თავისას გაიტანს, თქვენი ოფლი არ დაღვრილა უნაყოფო ალაგს, თქვენი მადლიანი ხელით ამოძრავებული კალამი არ შესტეხია ცივ კლდეს, იმათ უპოვნია პოხიერი ნიადაგი ქართველ ერის გულში და თქვენი შრომა ერთი ათასად ნაყოფიერ ქმნილა. ეხლა გარდმოხედე თქვენის მობრძანებით აღფრთოვანებულს ჩვენს მხარეს, დარწმუნდით და გიხაროდეთ რომ თქვენი შრომა აღორძინებულა და ქართველი ერი კიდევ მოელის თქვენგან გამოფხიზლებას და გმირების ძებნას... არა, აყვავდეს იმედი“, და დიდო მგოსანო, „გულს ნუ გაგიტეხს ჰალარა“; საქართველოსათვის გმირების საძებრად ისევ და ისევ მრავალ წელს დაუკარ-დაჰკივლე თქვენი დაფი და ნაღარა“.

შემდეგ მგოსანს მიესალმა მ. კაჭკაშვი ლექსით:

„აღფრთოვანდა, აგუგუნდა თქვენის ნახვით ლაილაში,
კიდით-კიდემდის გაისმის მხიარული ხალხის ტაში;
ადიდებენ თქვენსა ნაშრომს და გაფრენენ მაღლა ცაში,
კალამი რომ დაგიფასონ ყველა არის ამის ცდაში.
ივერიის დიდება ხარ, სათაყვანო ყოველ გვარში,
საუნჯე ხარ მამულისა, შარად იყო გინდა მთაში“.

ბოლოს ებრაელების წარმომადგენელმა ბიჭია მევრელიშვილმა მიმართა მგოსანს შემდეგი სიტყვით: „დიდო მგოსანო, ბატონო აკაკი! ჩვენ ქართველი ებრაელებიც გილოცავთ მშვიდობიან მოგზაურობას და მობრძანებას თქვენს საყვარელ სამშობლო მხარეში. მხცოვანო მგოსანო, ყოველ დაჩაგრულთათვის დიდი იმედების მიმწოდებელო, შეგლალადებთ დამიწამტვერებული ებრაელები, რათა ჩვენც შეგვავედრო იმ ზენაარსს, რომელმაც თქვენ ზეციურის ნიჭით და სანეტარო ჰანგით აღგავსო, რომ თქვენს მამულში ჩვენც დაგვბადებოდეს თქვენისთანა ნიჭიერი ადამიანი და მას განემარტებინოს ჩვენთვის თქვენი შარავანდედით გაბრწყინვალებული კალმის ნაშრომი და მოეძღვნას დავითის ქნარით თქვენი შესაფერი ღირსი ქებათა-ქება, გაღვიძებულიყოს სალთას ძილისაგან მიძინებული და დავიწყებული სიონი და აღბეჭდილიყოს ჩვენისავე ეროვნული ანბანით ჩვენს ისტორიაში თქვენი უკვდავი სახელი; იცოცხლეთ კიდევ დიდხანს, ივერიის სულის ჩამდგმელო!“ მისალმების შემდეგ მგოსანი წაიყვანეს სასწავლებლის ოთახში და ცოტა ხანს მოასვენეს.

ლადო ბზვანელი.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 700.

მოწერილი ამბები

ფშავ-ხევსურეთი. ზაფხულის ხანგრძლივმა გვალვამ უშედეგოდ არ ჩაიარა. თუმცა ქირნახულს ვერა ავნორა, მაგრამ სამაგიეროდ ხალხი ძლიერ დააზარალა. გაჩნდა სისხა (დეზინტერია), რომელიც მუსრს ავლებს დიდსა და პატარას. არსაიდან შველა, არსაიდან ექიმი და წამლობა. ხალხი ღვთის ანაბარას არის დატოვებული. შიშის ზარმა მოიცვა ყველანი. ხალხი ისე არის შეშინებული, რომ მიცვალებულს ახლო არ ეკარება. ქირისუფალი იძულებულია მარტომ გასთხაროს სამარე და მარტომვე დამარხოს მიცვალებული.

მთელ ამ მხარეზე არის ერთად ერთი სკოლა და ერთიც ფერშალი, როდესაც რომ საჭიროა 6—7 სკოლა და ექიმი თავის ფერშალ-ბებიით. მართალია დ. თიანეთში არის ექიმი და აფთიაქი, მაგრამ ეს ერწო-თიანეთსაც ვერ ასდის. ან სად შეუძლიან ხევსურს, გინდა ფშაველს, 60—80 ვერსის მანძილზე წაიყვანოს ავადმყოფი. ურიგო არ იქნებოდა ფშავ-ხევსურეთს დაენიშნოს ექიმი თავის ფერშალ-ბებიით. **წ—ლი.**

სოფელი ონტოფო (სენაკის მაზრა). ორი წელიწადია, რაც ჩვენში არსებობდა ერთკლასიანი საქალებო სკოლა, სადაც ორმოცამდე ქალიშვილი სწავლობდა. მასწავლებელს მთავრობა ინახავდა, სკოლის ავეჯეულობა მთავრობამ შესძინა და სკოლისათვის საკუთარ სახლის შესაძენად ოთხასი მანეთი გამოიღო, საზოგადოებას თავის მხრივ ექვსას მანეთამდე უნდა გამოეღო. როდესაც საქმე-საქმეზე მიდგა საზოგადოებამ აღარ მოისურვა ფულის გამოღება. საზოგადოების განაჩენი სკოლის გახსნის შესახებ უკვე ძალაში იყო შესული და მთავრობა აიძულებდა ხალხს სკოლისათვის საკუთარ სახლის სყიდვას. საზოგადოების უმრავლესი ნაწილი განაჩენს არ სცნობდა კანონიერად. ასეთ დავაში იყვნენ ხალხი და მთავრობა. სკოლის ბედი ბეწვზე ეკიდა. ამ დროს გამოჩნდა ადგილობრივი კერძო ვექილი ალ. ხაფავა, რომელმაც იკისრა ამ განაჩენის გაბათილება და დაამტკიცა კიდეც მისი უკანონიერობა, ფორმალურის მხრივ. ამ სახით სკოლა გაუქმდა. თვალცრემლიანი მოსწავლენი ქუჩაში დარჩნენ.

იმ ორას მანათს, რომელიც სკოლის გაუქმებისათვის დაეხარჯა სოფელს, სხვა ორასი მანათიც რომ დაემატებინა (და ოთხასი მანეთიც მთავრობასა) კიდევ მოაგვარებდა სკოლის საქმეს, მაგრამ ჩანს, გულმოდგინე ჩამგონებელი და მოთავე არავინა ჰყოლია.

სტუმარი.

ს. ტოლა. (რაჭა) წელს აქეთ ქირნახულისა და ღვინის მოსავალი საშუალოა. ფუთი სიმინდი 90 კაპ. ფასობს. ამინდები კარგია. ხალხში სიმრთელეა. აქა-იქ პირუტყვის ჭირმა იჩინა თავი, მაგრამ პირუტყვების გადარიდებით ეს ორი კვირაა რაც ჭირს პირუტყვი აღარ უმსხვერპლია.

ტოლა-ხვანჭკარა პურღვინის მოსავლით და მიწის სინოყიერით საუკეთესო სოფლად არის ამ მაზრაში მიჩნეული, გაშენებულია მდ. რიონის მარჯვენა მხარეს ფერდობებზე, სამხრეთის მხრივ მიუდის ოსეთის სამხედრო გზატკეცილი მშვენიერის ვაკე ჭალებით და სასიამოვნო მოდუდუნე მდ. რიონით. ხალხი მშრომელია და მისდევს მევენახეობას. სწავლა-განათლებით ჩამორჩენილია სხვა კუთხეებზე. ყველა საზოგადოებას ემჩნევა განათლების მხრივ წინმსვლელობა ეს, ხოლო ხვანჭკარის საზოგადოებას არაფერი ეშველა.

ამას წინად ამ საზოგადოებას მეექვსეთ ჰქონდა მსჯელობა ერთკლასიანი სამინისტრო სკოლის ორკლასიანად გადაკეთებაზე ბოქაულის წინადადებით.

სამი თუ ოთხი წლის წინად აქაურ მცხოვრებთ დიდი შეღავათი აღმოუჩინა ადგილობრივმა თავ. დიმ. ყიფიანმა, რომელმაც 2000 ფუთი ქირნახული დაურიგა უსარგებლო სესხად. ამის შემდეგ კარგი და უმშვენიერესი ნაძვნარიანი მთა შეაძლია გლეხებს იაფ ფასად, შეღავათიანის პირობებით, მაგრამ გლეხებმა მაინც ვერ იყიდეს გლეხები მადლიერი ჰყმს. ეს თავადი სკოლის შესახებ სიტყვით მაინც რო ჩაერიოდეს სახალხო რჩევაში საქმე თითქმის გათავებულად ჩაითვლება.

ტოლელი გლეხი.

წერილი ხარკოვიდან

ქართველ სტუდენტების ერთმა ჯგუფმა განიზრახა უნივერსიტეტთან ქართულ ისტორიისა და მწერლობის მოყვარული წრის დაარსება. ასეთი წრის დაარსების აუცილებლობის აზრი კარგა ხანია მომწიფდა აქაურ ქართველ სტუდენტობაში, მაგრამ განხორციელება არ ეღირსა. ჯგუფმა აირჩია კომისია და დაავალა ენახა პირადად ჩვენი თანამემამულე პრივატ-დოცენტი **ვ. პ. მოსეშვილი** და ეთხოვა მისთვის, როგორც ქართველს, ეკისრა პასუხის მგებლობა უნივერსიტეტის მთავრობის წინაშე. ბ. მოსეშვილმა მეტად მოიწონა კომისიის აზრი და ყოველივე დახმარება აღუთქვა. კომისიამ ინახულა აგრეთვე პროფესორი **ბროდოვიჩი** და სთხოვა, რექტორთან ეშუამდგომლებინა წრის ნების დართვის შესახებ; პროფესორს შევატყობინეთ, რომ ასეთი წრეები არსებობს პეტერბურგის, მოსკოვის და იურიევის უნივერსიტეტებთან და რადა ჩვენ არ დაგვრთამენ ნებასაო. პროფესორი ბროდოვიჩი საერთოდ მოყვარულია ქართველებისა, იგი ყოველთვის ყურადღებით ეკიდებოდა ქართველ სტუდენტების თხოვნას და ახლაც დიდის სიამოვნებით დასთანხმდა რექტორთან მოლაპარაკებაზე. გვეგონა, საქმე უკვე კარგად არისო, მაგრამ სრულიად მოულოდნელად რექტორმა უარი შემოგვითვალა და ჩვენს იმედს ცივი წყალი გადაასხა. დიდს იმედს ვამყარებდით ამ წრის დაარსებაზე და მეტად ცუდი გავლენა იქონია უარის თქმამ. ამგვარად მოვაკლდით ერთ უსაჭიროეს საშუალებას შეგვემსო ჩვენი მკრთალი ცოდნა ქართულ ისტორიიდან და მწერლობიდან. დღეს კი ყოველივე იმედი წარგვეხოცა.

კომისია ჯგუფის სახელით მაინც დიდ მადლობას სწირავ **პროფესორ ბროდოვიჩს** და პრივატ დოცენტ **ვ. პ. მოსეშვილის,** რომელთაც დიდის ყურადღებით მიიღეს ჩვენი თხოვნა.

⁂

ხარკოვში პროგრესისტებმა შემდეგი კანდიდატები წამოაყენეს: **ვლ. ტიმოფეევი,** ხარკოვის უნივერსიტეტის ორდინარული პროფესორი, უმაღლეს კომერციულ კურსების დირექტორი. **სერგეი მ. კუზნეცოვი,** ხარკოვის სასკოლო-სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარე. **სერგეი ალ. კოზლოვი,** ხარკოვის ნაფიც ვექილთა საბჭოს თავმჯდომარე. **ალ. კონ. სმირნოვი,** ხარკოვის უნივერსიტეტთან დატოვებული სამოქალაქო უფლებათა კათედრასთან. **ოვ. პ. ბრაუნშტეინი,** ხარკოვის უნივერსიტეტის პრივად დოცენტი, თავმჯდომარე საექიმო საზოგადოებისა. **ნიკ. ნიკო. მოისეენკო,** ნაფიცი ვექილი, ხარკოვის საკრედიტო საზოგადოების თავმჯდომარე, ახლად არჩეული ქალაქის გამგეობის წევრი. ეს კანდიდატები პროგრესისტებმა პირველ კურიაშია წამოაყენეს; არჩევნები 29 ენკენისთვის მოხდება. როგორც ხედავთ პროგრესისტების კანდიტატები ხარკოვში ცოტად თუ ბევრად ცნობილნი პირნი არიან და ბევრი შანსებია, რომ პროგრესისტები გაიმარჯვებენ, თუმცა მემარჯვენენი და ნაციონალისტებიც გაფაციცებით მუშაობენ. საერთოდ მათ ცოტა იმედი აქვსთ.

სომხების ქულეტა

ოსმალეთში და ტფილისის სომხების აზრი.

„რუსკოე სლოვო“-ში დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი: „სომხების ქულეტა“. ამ წერილში, სხვათა შორის, მოყვანილია ტფილისის სომხების აზრი ამ ქულეტის შესახებ. მოგვყავს საყურადღებო ნაწილები ამ წერილისა.

სომხების ქულეტამ კავკასიის სომეხთა შორის დიდი აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ ყველა სომხები ერთნაირად არ უცქერიან საქმეს და ერთნაირის საშუალებით არა ჰსურთ შველა. ბაქოს სომხებს ჯერ კიდევ სწამთ, რომ ოსმალეთი განახლდება და განახლებულ სახელმწიფოში სომხებსაც შეეძლებათ მშვიდობიანი განვითარება. სულ სხვანაირად უცქერიან საქმეს ტფილისის სომხები. „მშაკს“, მაგალითად, როგორც „რუსკოე სლოვო“ გადმოგვცემს, საჭიროდ მიაჩნია, რომ გაიმართოს მიტინგები ყველგან, სადაც კი სომხები სცხოვრობენ, პროტესტის გამოსაცხადებლად. პეტიციებით სომხებმა უნდა სთხოვონ სახელმწიფოებს, საქმეში ჩაერივნენ, მოითხოვონ სომხებისთვის ავტონომია და სხვა. სრულიად სომეხთა კათალიკოსმა, როგორც სომხის ხალხის მეთაურმა, უნდა ხმა აღიმაღლოს. სომხების პოეტი ოვ. ტუმანიანი „ჰორიზონში“ მოითხოვს, რომ რუსეთი ჩაერიოს საქმეში. „ჰორიზონის“ სხვა თანამშრომლებსაც საჭიროდ მიაჩნიათ, რომ რუსეთმა მარტო დიპლომატიურის მოლაპარაკებით კი არა, იარაღით დაიცვას ოსმალეთის სომხები. გარდა ამისა, „ჰორიზონს“ საჭიროდ მიაჩნია, რომ რუსეთმა შემოიერთოს ოსმალეთის სომხეთი.

საყურადღებოა აგრეთვე ტფილისის ქალაქის თავის ა. ი. ხატისოვის აზრი. ხატისოვს უთქვამს შემდეგი. სომეხთა საზოგადოებაში ორი მიმდინარეობა არსებობს: ერთი თხოულობს მთელი ქვეყნის სომეხთა პროტესტს ქულეტის წინააღმდეგ. რუსეთს, ინგლისსა და საფრანგეთთან ერთად, შეუძლიან გავლენა იქონიოს ოსმალეთზე და მოსპოს ქულეტა. პოლიტიკა ლებანოვ-როსტოვსკისა, რომლის სიტყვითაც, რაც უფრო მეტად ამოჟლეტავენ სომხებს მით უკეთესია, რადგანაც ოსმალეთის დანაწილების შემდეგ, სომხეთი რუსებს სომხების დაუხმარებლად დარჩებათო,—უკვე ფასდაკარგული პოლიტიკაა. რუსის მთავრობამ უნდა შეიგნოს, რომ ოსმალეთის სომხები რუსეთის ერთგულნი იქნებიან. ოსმალეთის სომხეთის შემოერთებით რუსეთი ლოიალურსა და ერთგულ ქვეშევრდომებს შეიძენს. სომხებმა ძალიან კარგად იციან, რომ რუსეთში ისეთის უფლებებით სარგებლობენ რანაირითაც ოსმალეთში თავის დღეში ვერ ისარგებლებენ.

ასეთია მოკლედ ტფილისის სომეხთა აზრი ოსმალეთში მომხდარ სომეხთა ქულეტის შესახებ.

ომის მოლოდინში

დეპეშები.

26 ენკენისთვე

სტამბოლი. ჩერნოგორიის ელჩმა მთავრობის დავალებით პორტას ომი გამოუცხადა. რუმინი გემით უკან დაბრუნდა.

ვენა. გაზეთი „ცეიტი“ იტყობინება, რომ საერთაშორისო ურთიერთობის გართულების გამო სამხედრო უწყებამ საომარ ხარჯის დასაფარავად 450 მილიონი კრონი ითხოვა.

ვენა. „კორესპოდენტ ბიურო“ ცეტინიედან იტყობინება ჩერნოგორიის საქმეთა რწმუნებული 25 ენკენისთვეს სტამბოლსა სტოვებს.

ბერლინი. გარეშე საქმეთა მინისტრი საზონოვი ებაასა ბულგარეთის და საბერძნეთის ელჩებს.

ვენა. ჩერნოგორიის და ოსმალეთის დიპლომატიის განხეთქილებამ ყველა გააკვირა. „ნეი-ფრეი-პრესე“ სწერს: „ჩერნოგორიის მეფის გადაწყვეტილებამ გვიჩვენა, ბალკანეთის სახელმწიფოები ერთ სულოვნად ვერ მოქმედებენო. ჩერნოგორიამ დამოუკიდებელი ნაბიჯი გადადგაო“. „ნეის-კინერ-ტაგებლატი“ ამბობს, ავსტრია და რუსეთი მაინც კიდე მისცემენ დამამშვიდებელ წინადადებასო. „ცეიტი“ ელის ახლო მომავალში ომის გამოცხადებას, იგი ამბობს: ყურადსაღებია, რომ ჩერნოგორიამ გადადგა პირველი ნაბიჯიო, ცეტინიესა და პეტერბურგის განწყობილება ამტკიცებს, რომ რუსეთი ვერ მოქმედებს გულწრფელადო. „ვინერ-ალგემეინე-ცეიტუნგი“ სწერს: დღევანდელი ამბები მშვიდობიანობას არ გვპირდებაო. საშიშია, ცდამ შვიდობიანობის დამყარებისა, უნაყოფოდ არ ჩაიაროსო“.

პარიზი. ინგლისი ატყობინებს პორტას, იგი მომხრეა ევროპის სახელმწიფოები კოლექტიურად მოქმედებდნენო.

სოფია. კრებამ მიიღო კანონპროექტი დამატებითი კრედიტებისა სამხედრო ხარჯისთვის. მიღებულია აგრეთვე პასუხი სეფე სიტყვისა, საცა გამოთქმულია სურვილი ბულგარეთის სახელმწიფოს სასარგებლოდ მსხვერპლის მიტანისა.

ლონდონი. საზოგადო პალატაში, ბალკანეთის მდგომარეობის თაობაზე შეკითხვისა, გრეიმ უპასუხა: არაფრის დამატება შემიძლიან იმისა რაც გუშინ მოგახსენეთო. ცნობების არც დადასტურება შემიძლიან, არც უარყოფაო.

ბერლინი. საზონოვი ებაასა პეტერბურგის სააგენტოს კორესპოდენტს: კიდერ-ვეხტერთან ბაასმა დამტკიცა, რომ დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკა ძველ ნიადაგზე დგასო. თუ ომი ასტყდა ვეცდებით მის ლოკალიზაციას და არც ერთ სახელმწიფოს ნებას არ მისცემს ომში ჩაერიოსო.

ბელგრადი. ჯარის გადაყვანა შესაკრებ პუნქტებზე უკვე დაწყებულია.

ბერლინი. პოლიტიკურ წრეებში ამბობენ, რომ ჩერნოგორიის მიერ ომის გამოცხადება ომის დაწყებას არ ნიშნავსო. ომის საქმე სავსებით ბულგარეთზეა დამოკიდებული. საზონოვი ებაასა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს. მინისტრი მიდის საღამოს 11 საათსა და 40 წ.

ვენა. ავსტრიის დელეგაციაში განხილვაა გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვისა. ორატორებმა გამოსთქვეს სურვილი მშვიდობიანი პოლიტიკის გაგრძელებისა, რათა ავსტრია-ჰუნგრეთმა დაუმტკიცოს, რომ იგი ბალკანეთის სახელმწიფოების მეგობარიაო.

სტამბოლი. ოსმალეთის სააგენტომ გამოაქვეყნა ჩერნოგორიის ომის გამოცხადების ტექსტი: ვწუხვარ, რომ ჩერნოგორიის სამეფომ ყველა საშუალება იხმარა, რათა მოეგვარებინა მრავალი უთანხმოება აღძრული ჩერნოგორიასა და ოსმალეთს შორის, მაგრამ მაინც ამაო იყო. მეფე ნიკოლოზის დავალებით მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ ჩერნოგორიის სამეფო სწყვეტს ყოველივე კავშირს ოსმალეთთან; დეე, იარაღმა გადასწყვიტოს საკითხი ჩერნოგორიის უფლებისა და უფლებისა მის მოძმეთა, რომელნიც ოსმალეთში დავიწყებულნი არიან. ვტოვებ სტამბოლს. ჩერნოგორის საზღვრებზე შეტაკება მოხდა.

მოსკოვი. მოსკოვში მცხოვრებნი ქართველები (?) და სომხები ადგენენ კავკასიის ხმელეთის და ცხენოსანთა ჯარს სლავიანების დასახმარებლად.

ლონდონი. საზოგადო პალატაში, გრეის ჰკითხეს: თუ სახელმწიფოთა ცდამ ბალკანეთში მშვიდობიანობის დასამყარებლად უნაყოფოდ ჩაიარა, ხომ არა ჰფიქრობს მთავრობა ბალკანეთის კრიზისის გადაწყვეტა ჰააგის სამედიატორო სამართალს მიანდოსო? გრეიმ უპასუხა: არ მინდა დავიჯერო, რომ სახელმწიფოთა ჩარევამ ნაყოფი არ გამოიღოსო, მაგრამ თუ ეს მაინც მოხდა, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ სახელმწიფოთა შორის დამკვიდრებული ერთსულოვნება არ დავარღვიოთ და საქმის ინიციატივა ჩვენ არ ვიკისროთო.

ოდესა. 500-ზე მეტი ბერძენი მიდის სტამბოლში.

სოფია. კრებაზე გეშოვმა განაცხადა, რომ ბულგარეთი 35 წლის განმავლობაში გულმოდგინედ ისმენდა რჩევას სახელმწიფოთა მოთმინებისა და მშვიდობიანობისას. მიუხედავად ოსმალეთისადმი მეგობრულ განწყობილებისა ჩვენ იძულებული ვიყავით ბულგარეთის მობილიზაცია მოგვეხდინა, რადგანაც ოსმალეთის უკანასკნელმა მოქმედებამ ძლიერ გაგვაბოროტაო. მალინოვი, ტონჩევი და როდისლავოვი პარტიის სახელით მთავრობას თანაგრძნობას უცხადებენ.

პარიზი. ოსმალეთის ელჩმა შეატყობინა პუანკარეს, ოსმალეთმა გადასწყვიტა ცხოვრებაში გაატაროს 1880 წლის კანონი. პუანკარე საბერძნეთს და ბულგარეთს ურჩევს ზომიერების დაცვას.

ვენა. ავსტრიის დელეგაცია. ორატორები დარწმუნებულნი არიან ომის ლოკალიზაცია უეჭველად მოხერხდებაო. შვარცენბერგმა სრული ნდობა გამოუცხადა მინისტრის პოლიტიკას, რომელიც მშვიდობიანობისკენ და ავსტრია-ჰუნგრეთის ინტერესების დაცვისკენ არის მიმართული. ბერნრეიტერი აღნიშნავს: ავსტრია-ჰუნგრეთი მხარს უჭერდა სხვა სახელმწიფოების სურვილს და სხვა აზრი არა ჰქონია. საფრანგეთმა დიდი ამაგი გაუწია ევროპას.

ალბანელები და ჩერნოგორია.

როგორ უყურებენ ალბანელები ომის საქმეს? ამის აღნიშვნა საჭიროა, რადგანაც ალბანელებზეა დამოკიდებული ომის მსვლელობის საქმე. სერბიის სახელმწიფო მოღვაწენი დარწმუნებულნი არიან, რომ ალბანელები მათთან ერთად იმოქმედებენ ოსმალეთის წინააღმდეგო. მაგრამ „ცეიტი“ სწერს: საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ალბანელთა დაყოფა ქრისტიანებად და მაჰმადიანებადაო. თუ ომი ასტყდა, ქრისტიანი ალბანელები მხარს დაუჭერენ ჩერნოგორიას, რადგანაც ომი სკუტარის ვილაეტსაც მოხვდება. ამისთვის რამდენიმე თვეა რაც ნიადაგი მომზადებულია. საკითხი ის არის, დიდხანს გასტანს თუ არა ალბანელების შეთანხმებული მოქმედება ჩერნოგორიასთან!

რაც შეეხება მაჰმადიან ალბანელებს, ისინი თავგამოდებით იბრძოლებენ ბულგარეთისა და სერბიის წინააღმდეგ. მაჰმადიან ალბანელების სიძულვილი სერბიელებისადმი ისე ძლიერია, რომ ისინი ავტონომიაზედაც კი უარს იტყვიან, ოღონდ კი სერბიელებიდან არ იყვნენ დამოკიდებულნი. ჩრდილოელ ალბანელებმა უკვე გამოსთქვეს სურვილი ოსმალეთის დახმარებისა სერბიის წინააღმდეგ.

საერთაშორისო უფლება ომის დაწყებაზე.

მთელი ქვეყანა ომის მოლოდინშია. დღითი დღე უნდა ველოდეთ ომის აფეთქებას. ამისთვის საჭიროა გავიხსენოთ საერთაშორისო მშვიდობიანობის კონფერენციების დადგენილება ომის დაწყებაზე. ჰააგაში მომხდარ კონფერენციაზე 1907 წელს დაადგინეს: სახელმწიფო, რომელიც ომს უცხადებს სხვა სახელმწიფოს, მოვალეა ფორმალურად გამოაცხადოს ომი; და სასტიკად ეკრძალება ომის გამოუცხადებლივ პირდაპირ მოქმედების დაწყება. ომის გამოცხადების ფორმა ორ გვარია: 1. პირდაპირ ომის გამოცხადება, 2. ულტიმატუმი. თუ სახელმწიფო ირჩევს პირველ ფორმას, ვალდებულია აღნიშნოს მიზეზი ომისა. შესაძლებელია სახელმწიფოს უნდა ომის მიზეზის დაფარვა, მაშინ ის მიჰმართავს მეორე ფორმას, ულტიმატუმს, რომელიც თავისით დასაბუთებას ჰნიშნავს. სახელმწიფოს შეუძლიან ულტიმატუმში წამოაყენოს უმნიშვნელო მოთხოვნილება და დაჰფაროს ნამდვილი მიზანი ომისა. ულტიმატუმის აუცილებელ თვისებად ითვლება ვადის დანიშვნა. სახელმწიფოს, რომელიც ულტიმატუმს იღებს, მოფიქრების დრო უნდა ჰქონდეს. თუ ომს პირდაპირ გამოუცხადებენ, ვადის დანიშვნა საჭირო აღარ არის.

პაპრიკოვის ახალი თანამდებობა.

როგორც ამბობენ პეტერბურგში მყოფი ბულგარეთის ელჩი გენ. პაპრიკოვი ბულგარეთში დაიბარეს. პაპრიკოვი დანიშნეს ბულგარეთის ჯარის უფროსის შტაბში. მის მაგივრად ჰფიქრობენ დანიშნონ განათლების მინისტრი ბაპტევი.

რას თხოულობს ბალკანეთი?

ბალკანეთის მოთხოვნილება, რისთვისაც საშინელი ომი უნდა ასტყდეს, შემდეგია: მაკედონიის ავტონომია და საკუთარი ჯარი, ეპირი საბერძნეთის გავლენის ქვეშ უნდა იყოს, ძველი სერბია—სერბიისა, დანარჩენნი ბულგარეთს უნდა ექვემდებარებოდეს. თუ ეს პირობა არ მიიღო ოსმალეთმა, ომი ასტყდება.

ახალგაზდობის აღფრთოვანება.

სოფიაში ახალგაზდობას დიდი აღფრთოვანება ეტყობა. სტუდენტები პროფესორებიანად მანიფესტაციებს ახდენენ. ახალგაზდობას ომში მონაწილეობა ჰსურს.

მინისტრის შიში.

ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებს გამოუცხადა: მდგომარეობა აუტანელია, თუ პროვოკატური მოქმედება გაგრძელდა, იძულებული ვიქნებით მოქმედება დავიწყოთ. ეს ომი კი არ იქნება, არამედ დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა. მინისტრს ომის მწვავე ხასიათი ძლიერ აშინებს.

გაზეთებიდან.

სევასტოპოლიდან იუწყებიან, შავი ზღვის დასავლეთ ნაწილში დაინახეს ოსმალეთის ნაღმოსანი გემები, რომლებზედაც სინათლე ჩამქრალი იყოვო. ორი კრეისერი ბოსფორიდან გამოსულა და შავ ზღვისკენ წასულა. ბულგარეთს ამ გარემოებისა შეშინებია და ბურგასა და კარნასთან ორასი ნაღმი ჩაუწყვია ზღვაში.

ვენაში კატეგორიულად ამბობენ, ომი უსათუოდ კვირას დაიწყებაო. სადგურებზე ჯარით სავსე მატარებლები სდგას. ამბობენ, ეს ჯარი სოფიაში წავა და ბულგარეთის ჯარს შეუერთდებაო.

ვენიდან იუწყებიან, საომარი მოქმედება უკვე დაიწყო, ბულგარიამ ჯარი საზღვარზე გადაიყვანაო.

ოსმალეთის მთავრობას შეატყობინეს, ბალკანეთის სახელმწიფოები არა უგვიანეს სამის დღისა ოსმალეთს წარუდგენენ ულტიმატუმს, რომელშიაც მაკედონიისა და ძველი სერბიისთვის ავტონომიას მოითხოვენო.

ოსმალეთის მინისტრთა საბჭოს უთათბირია მოსალოდნელ ომის შესახებ და დარწმუნებულა, რომ საქმის მშვიდობიანად დაბოლოვება შეუძლებელია. საბჭოს დაუდგენია, ძალადობას ძალადობითვე ვუპასუხოდო.

მაკედონელთა ჯარის უფროსს სანდანსკის ორი ათასი კაცით დაუჭერია კრესნენსკის უღელტეხილი, რომელსაც თურმე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს.

ბულგარეთის საზღვარზე სროლაა ტიმროჩის მახლობლად. ბულგარელები ოსმალეთის ბლოკგაუზს დაეცნენ, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ ოსმალების მიერ.

ბალკანეთის სახელმწიფოებმა რუსი ავიატორი აგაფონოვი საომარ საქმეებისთვის მოიწვიეს. აგაფონოვი დასთანხმდა და ამ მოკლე ხანში კიდეც მიდის.

როგორც ხმები დადის, ავსტრია ენერგიულად ემზადება საომრად.

რუმინია, ავსტრიისა და რუსეთის თანხმობით, მობილიზაციას მოახდენს. მეფემ საჩქაროდ დაიბარა გენერალი სანაიუ.

ფრანც-იოსებს, ავსტრიის იმპერატორს, იმედი აქვს, რომ ბალკანეთზე ომი არ დაიწყება. დიპლომატიას ხშირად სასწაულის მოხდენა შეუძლიან, უთქვამს იმპერატორს.

სერბიაში საომრად გაიწვიეს თითქმის ყველა, ვისაც კი თოფის ტარება შეუძლიან.

როგორც ვენიდან იუწყებიან, ოსმალეთის სადიპლომატო მისია, ბელგრადიდან წასულა.

ავსტრო-უნგრეთის რკინის გზათა გამგეობამ მოსთხოვა სერბიას, დააბრუნე ის ჩვენი ექვსასი ვაგონი, რომელიც ამ ჟამად სერბიაში არისო. სერბიას ვერ შეუძლიან ეს მოულოდნელი მოთხოვნა დააკმაყოფილოს, რადგანაც თითქმის ყველა ვაგონებით ჯარი გადაჰყავს.

ა. ი. გუჩკოვი-„წამქეზებელი“

ვენის გაზეთბი ბალკანეთის სახელმწიფოების წამქეზებლად ა. ი. გუჩკოვს ასახელებენ. როდესაც გუჩკოვი ბელგრადში იყო, იქ უთქვამს: „თუ ბალკანეთის სახელმწიფოებს მაკედონიის გამო ოსმალეთთან რამე ჰსურთ, ნუ დაგვინდობთო. რუსეთი იაპონიასთან ომის შემდეგ მოსულიერდა და კარგად იცის, რომ მისი ადგილი სამხრეთელ სლავიანებთან არისო“.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

26 ენკენისთვე.

საზღვარ-გარედ

საერთაშორისო კონფერენცია.

ბერლინი. გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიაც 15 სახელმწიფო იღებს მონაწილეობას.

ალბის საქმე.

რომი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არჩევს საქმეს ანარქისტ ალბისას, რომელმაც მეფის სიკვდილი განიძრახა.

ბერლინი. კონფერენციაზე, რომელიც საერთაშორისო გამოფენის საკითხს ითხოვს, ილაპარაკა საფრანგეთის ელჩმა კამბონმა. მან სთქვა: საერთაშორისო გამოფენაზე მარტო ბრძოლა კი არ არის, ერთა შორის, არამედ ერთი ერი მეორეს სწრთვნის და ბევრ რამეს ასწავლისო. გამოფენა საუკეთესო საშუალებაა ცივილიზაციისა და მშვიდობიანობისაო.

სკოტის გარდაცვალება.

კემბრიჯი. გარდაიცვალა შესანიშნავი მცოდნე ინგლისის ლიტერატურისა პროფესორი სკოტი.

კალკუტა. მოხდა მიტინგი მუსულმანებისა, საცა 20,000 მეტი კაცი დაესწრო. მიტინგმა სიმპატია გამოუცხადა ოსმალეთს და პროტესტი რუსეთს სპარსეთში მოქმედებისთვის.

იტალიის და ოსმალეთის ზავი.

სტამბოლი. რეშიდ ფაშამ მოხსენება უკანასკნელ პირობების შესახებ იტალიისა და ოსმალეთ შორის მოლაპარაკებისა, წარუდგინა პორტას.

რომი. მოლაპარაკება სწარმოებს.

რუსეთი

არჩევნები.

პეტერბურგი. პეტერბურგის სააგენტოში 25 ენკენისთვეს საღამოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათ საათს მეორე ხარისხის არჩევნების შესახებ შემდეგი ცნობა მოვიდა. რწმუნებულთა მიერ მოგილევის გუბ. ამომრჩევლად აირჩიეს 3 მონარქისტი, 28 მემარჯვენე, 4 უპარტიო. სულ 35. თემინხანშურის ოლქში არჩევნები არ შესდგა, რადგანაც რუსის რწმუნებულებმა უარი განაცხადეს ამომრჩევლობაზე. პლოცკის მაზრის რწმუნებულთა კრებაზე აირჩიეს სამი ამომრჩეველი სამივე დემოკრატია. რიპინის მაზრაში—3 დემოკრატი. ქალაქის არჩევნებზე კალუგის გუბ.—3 მონარქისტი, 3 მემარჯვენე, 1 ოქტომბრისტი, 4 პროგრესისტი, 3 კადეტი. კერშში აირჩიეს 1 კადეტი. სევსკში 1 კადეტი; ბელგოვში 1 ოქტომბრისტი. კრომში—1 მემარჯვენე; პლოცკის გუბ. ქალაქ პლოცკში—3 დემოკრატი. რიპინში 1 დემოკრატი; ესტლიანდიის გუბ. ქალაქ ვეისენშტენში, ვეზენბერგში, გაპსალიუსში 3 ამომ. ერთი ბალტიის კონ. მონარქ. პარტიისა, 1 მემარცხენე კადეტი, 1 უპარტიო-ზომიერი.

მეორე საქალაქო არჩევნებზე იმავ ქალაქებში აირჩიეს 3 ამომრჩეველი: 1 მემარცხენე კადეტი, 1 ესტონელი ნაციონალისტი, 1 მემარცხენე ნაციონალისტი.

თეატრი და ხელოვნება

✦ **ზუბალოვის სახალხო სახლი.** პარასკევს, 28 სექტემბერს, ზუბალაშვილების სახალ. სახლში ქალ. მ. ავალიანი ქართულ დრ. წრის დახმარებით გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილ იქნება ე. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული პიესა „ქრისტინე“. ბ-ნი ა. წუწუნავა რეჟისორობს.

წერილი რედ. მიმართ

ჩვენ მივიღეთ ბატ. იასონ ივლიანეს ძე გოგვაძისაგან, შეკრებილი ბაქოში, 10 მანეთი და 85 კაპ. ქვიანის უფასო სამკითხველოს სასარგებლოდ. გულ-წრფელ მადლობას ვუძღვნით შემომწირველთ.

სია შემომწირველთა: იასონ ივლ. გოგვაძემ 3 მან., კაკი ცუნდაეთელმა, ილარიონ კოტრიკაძემ, ვასილ მელქაძემ და ბ. სუთიძემ თითო მანეთი; ვარლამ ქავჭანიძემ, ლადიკო სურგულაძემ, ბიქტორ დუგლაძემ და მიშა მარიამიძემ—ათ-ათი შაური; ირაკლი მახარაძემ, ვასილ გოგოძემ და ალექსანდრე კოხრეიძემ—ორ-ორი აბაზი; ევგენი თოფურიძემ 30 კაპ.; ივანე მჭედლიშვილმა 20 კ. და ანტონ ხეცაძემ 15 კ.

ქვიანის ბიბლიოთეკა-სამკითხ. გამგე
მღვდ. თეოფანე კალანდარიშვილი.

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო ქ-ნ მარიამ ივანეს ასულს ქართველიშვილისას, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულ ქვიშხეთის სამინისტრო სასწავლებელს შემოსწირა საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ ამა 1912 წლისა და რამოდენიმე პატარა ქართული წიგნაკები პატარა ბავშებისთვის საკითხავი.—

ქვიშხეთის სამინისტრო სასწავლებლის ზედამხედველი
ლეონტი ი. ხაჩიძე.

**რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.**

გამოსადეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლოცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლოცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, სოღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: სააგარაკო მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **სააგარ. მატ.** № 77 **, ილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისკენ: საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., სოღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლოცკარტ. № 1, სოღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლოცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, სოღ. 11 ს. 45 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 06, ღამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: სააგარაკ. № 76 a*, სოღ. 8 ს. 28 წ. **სააგ.** № 76 **, ნაშუადღ 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9|10 დილ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72|73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80|81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 პ. **ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10. 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

გემების მიმოსვლა

საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვორასიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.

კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის ს. 45 წ.

ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.

ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზი მერკური**“ ტელ. 82.

განცხადებანი

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

გადავიდა ახალ ბინაზე

მიხეილის ქუჩა, № 49 და რეუტოვის მისახვევი № 2. ტელეფონი № 1026.

ავადმყოფებს იღებენ:

ბლაჟჯანოვი მიხ.—საშარდე ორგანოთა, ათაშახვისა და კანის სნეულებისა— ნაშუად. 12— ს.

ვნუკოვი მ. პ.—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებისა სულით-ავადმყ. ელექტროტერაპია დილ. 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

შამაში ი. ი.—ქირურგიულ ავადმყ. 12—1 საათამდე.

ავილოვისა ა. ა.—კბილის ავადმყ. 9½—11½ საათ.

სამკურნალოში სწამლობენ ელექტრონითა და მასაჟით. ახდენენ გამოკვლევას მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურსა და ქიმიურს. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი ათი შაური. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებისაგან.

წამლობა „606“-ით და 914. 1513

პეტერბურგის კონსერვატორიაში
სწავლა-დამთავრებული, თავისუფალი ხელოვანი

ე. გ. ქიქოძისა
აძლევს მუსიკის (როიალი)
გაკვეთილებს.

სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 11.
651.

ვკისრულობ:

1. დაგირავებას და გადაგირავებას უძრავ მამულებისას როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში.
2. უძრავ ქონებათა ყიდვა-გაყიდვას.
3. მადნეულობის გამოკვლევას და შეფასებას.
4. ყოველგვარ არზების და პირობის ქაღალდის შედგენას.
5. ხე-ტყის მასალის მყიდველის და გამყიდველის შოვნას. მთხოვნელებს ვიღებ ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღისა, დილის თერთმეტის ნახევრიდან 12 საათამდე და საღამოთი ექვსიდან 7 ს.-მდე. **ბინა: ქ. ტფილისი, გოლ. პროსპ.**, სახლი **მანთაშევისა**, სასტუმრო „უნივერსალი“, № 2, ტელეფონი № 499 **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე** 1496

ქირავდება
3 ოთახი

თავის მოწყობილობით ხელმისაწვდომ ფასში.

თხინვალის ქ., № 6, მე-2 ნაწილი. სახ. წითლიევისა. მოლაპარაკება შეიძლება იმავ ეზოში. 698.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

606 —11—12 ს. **შემხაპუნება კონსულტატიურად.**

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საზედაო ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. აველტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ვ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ქ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შიგნით ახი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადი.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. აველტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთ ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ა. ნ ვასარდიანი.**

ქ. გ ო რ შ ი

ისყიდება ძველ კვირაცხოვლის ქუჩის კუთხეში **ორ სართულიანი ახლად აშენებული სახლი,** სარდაფით და შუშაბანდით. ნახვა ამ შენობისა შეიძლება დილის 10—2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე. 693

ქართულ ენაზე
ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварны пер., 2, соб. д. 1231

ფეხსაცმელები

თომა დ. ჯანყარაშვილის

მაღაზია-სახელოსნოში.



მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი: საკუთ. და პეტერბ. მეხანიკ. ნაწარმოები. 683.

პუშკინის ქუჩაზე, № 9,

იძლევა ქირით
ორი დიდი თვალი მაღაზია

შეიძლება შუაზედაც გაიყოს ორ დუქნად.

მაღაზიის ზევით მეორე სართულში

ქირით იძლევა ახლად შეკეთებული **ხუთი ოთახი**,
კუხნით, წყლით და ყოველივე მოწყობილობით.
პირობების შეტყობა მსურველთ შეუძლიანთ იქვე,
ძმ. ძეგველოვების თევზის მაღაზიაში.

ცინკოგრაფია

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ

კლიშეების დამზადებას,

საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდენ ფასად.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. თ.—1307

ხელოვნურად შეზავებული

სამკურნალო და ხილეულოვის
წყალი
მიტროფანე ლაღიძე და ამხ^სა.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს.

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში, გოლოვინის პროსპ. № 5**
1407 **ტელეფონი № 411, ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 6.**

გამოსულია და იყიდება

არჩილ ჯორჯაძის
თხზულებანი

I ტ.	„ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი	75 კ.
II „	„ჩვენი საზოგადოებრივობა „	80 „
III „	„ნააზრევი“ „	65 „
IV „	წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „	85 „

ინჟენერი
ი. ს. კონდოევი

ტფილისი.
ელისაბედის ქ, 164.
ბაქოს ქ. კუთხე.

ცემენტი
ასფალტი, უდროსი, ცეცხლის მძლე აგური და თიხა, ლურსმეულობა, „заклепки“, გულცარიელი აგური და კრამიტი და სხ., საშ. მასალა.

რკინის კოჭები,
საქვაბე რკინები,
საკუთხე რკინები,
სახურავების რკინები.
(შავი და ცინკნარევი).

ტელეფონი:
კანტორისა
№ 10—93
აგურხანისა
№ 11--96.

საშენებელი აგურები საკუთარ
აგურხანიდან ვაკეზე 1474

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება ახლად მიღებული წიგნები:

სამშობლოს აღწერა ს. რობაქიძისა	50 კ.
ქართ. მოკლე გრამატიკა ნიკოლაიშვილისა	20 „
ქართ. გრამატიკა პირველ-დაწყებითი ხუნდაძისა	20 „
ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი ზ. ჭიჭ.	50 „
თამარ მეფე ს. კაკაბაძისა	15 „
წმინდა ნინო მისივე	15 „
Черты феодальнаго строя მისივე	20 „
სჯულმდებელი ბაგრატ კურატპალატი	20 „
სჯულმდებელი ბექას და აღბუღას ვინაობა. მისივე	15 „
ვინაობა მესხური დავითნის ქრონიკების ავტორისა. მისივე	10 „
Разборъ армазской надписи по фотографическому снимку.	10 „
გ. ერისთავის რჩეული ნაწერები	60 „
ძუნწი. კომედია მისივე	5 „
ამხანაგი დრამა. პეპანოვისა	25 „
მართალი ამბავი, გიგაურის ას-სა	5 „
მოულოდნელი შემთხვევა. ვოდ.	15 „
ქართული გალობა. ლიტურღია. პარტიტურა. ნოტებზე გადაღ. რაჟდ. ხუნდაძისა	60 „
ცისკარი. ღმერთი უფალი I ხმა ნოტებზე გადაღ. სულხანიშვილი	35 „

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср гр. насел. 1141.

შპალიერი

ე. ა. ცატუროვის
დეპოში

მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი,
ახალ სახიანი

რუსეთისა და საზღვარგარეთის
საუკეთესო ქარხნებისა.

ფასები 8 კ—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.

ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.
• **ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.**
1400

ვაჭრობა-მრეწველობის უწყებაში მყოფი

ბუხჰალტრიის პრაქტიკული კურსები
და კომერციული ანგარიში
ი. ფ. პალატნიკოვისა,

(ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 132).

1912—13 წლის სემესტრში ქალ-ვაჟთ შეუძლიანთ მიღების თხოვნა შემოიტანონ და ჩაეწერნენ ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე. მეცადინეობა 15 სექტემბერს დაიწყო.

კურსებზე ორივე სქესის მსმენელნი იძენენ საფუძვლიანსა და სრულიად დამთავრებულ მომზადებას, კანტორა ბუხჰალტერიისა და საალებ-მიცემო მიწერ-მოწერის დამოუკიდებლად საწარმოებლად.

კურსებზე შემსვლელნი საფუძვლიანად სწავლობენ: 1. **ბუხჰალტერიას** უბრალოს, ორმაგს, იტალიურს, გერმანულს, ამერიკულსა, ფრანგულსა და ახალ რუსულს (ყველა სისტემის შესასწავლად სავალდებულოა პრაქტიკული მუშაობა) ბ) **ანგარიშების წარმოებას:** საზოგადოდ საალებ-მიცემოს, საბანკოს, საქარხნოს, სახოგადოს, სასოფლო-მეურნეობისას, ქალაქისას და ერობისას. 2. საკომერციო არითმეტიკას, 3. სავაჭრო უფლებას, 4) თამასუქების უფლებას, 5) საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას, 6) ანგარიშს საანგარიშო ჩოთქზე. 7) ლამაზსა და სწორ წერას (კალიგრაფიას), 8) საწერ მანქანის ხმარებას, 9) რუსულ ენას, 10) არითმეტიკას, 11) **უცხო ენებს:** ინგლისურს, ფრანგულსა და გერმანულს, 12) უცხო ენებზე საალებ-მიცემო მიწერ-მოწერას.

რუსულსა და არითმეტიკის მსმენელთ უფასოდ ასწავლიან.

მასწავლებლებად მოწვეულნი არიან უმაღლეს სწავლა მიღებული სპეციალისტები. კურსების წესდება და პროგრამა მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.
1447

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნაკადულ“-ზე

✦ **წელიწადი მერვე.** ✦

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 **წიგნი** „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12** **წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს
დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა- ●●—
—●● ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილიასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ახვლედიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოჟაძესთან და **ერევანში** კ. ოქოშარიასთან. **ყარსში**—ფერშალ ვანო საათაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**
წ.—1393—წ. გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.